ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა,
სპორტის და იურიდიულ საკითხთა კომისიების
გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N 15/40

სხდომის ჩატარების დრო:
4 სექტემბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის
ორგანიზაციის ოფისი,
ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N 9

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა , სპორტის და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიების N 15/40 -გაერთიანებული გაიმართა იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის ოფისში. სხდომა თავმჯდომარეობდნენ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონმა ბექა ქებულაძე და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრები: თეა ჯუღელი, ჯემალ ბიბილეიშვილი, მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, მიხეილ გიორგაძე, ანა კოხრეიძე.

სულ :12 წევრიდან- 6 წევრი.

არ ესწრებოდა: ბესიკ ხამაშურიძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, ქეთევან ხურციძე, ნინო ჩიკვაშვილი.

სულ: 5 წევრი

ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე თეა ჯუღელი.

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, გია ბასილაძე.

სულ: 11 წევრიდან-6 წევრი.

არ ესწრებოდა:

რომან ქვაჩაკიძე, თედო მესხი, ლაშა შალამბერიძე კახაბერ გაბუნია, ხათუნა არველაძე.

სულ: 5 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ თანამშრომლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ: ,,მოგესალმებით მეგობრებო, დღეს ჩვენ ჰვაქვს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა. განსახილველი საკითხის მიმართ, საერთო ინტერესიდან გამომდინარე ჩვენი მხრიდან, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომისიის სხდომა ჩაგვეტარებინა მსგავსი ფორმატით".

მოისმინეს:

ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" საქმიანობის ანგარიში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის,განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიების გაერთიანებული N15/ - სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" საქმიანობის ანგარიში.

ქალბატონი მარინე ხაჭაპურიძე
ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის
მართვის ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის,განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიების გაერთიანებული N15/40 -სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი- **ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" საქმიანობის ანგარიში**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" დირექტორმა, ქალბატონმა **მარინე ხაჭაპურიძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ დირექტორმა, ქალბატონმა მარინე ხაჭაპურიძემ განმარტა: „ძალიან დიდი მადლობა, რომ დღეს ჩვენთან იმყოფებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერესდებით ჩვენი საქმიანობით. თქვენი მხარდაჭერა და თანადგომა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საქმიანობის განვითარებისათვის. რაც შეეხება დღევანდელ ანგარიშს, იცით, რომ წლის დასასრული არ არის და როგორც წესი, ასეთი ანგარიშების წარდგენისათვის ვემზადებით წლის დასასრულს და ვაბარებთ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო როგორც იცით შედგება დამფუძნებელი მუნიციპალიტეტების მერებისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში ფორმატი შეიცვალა და უკვე საკრებულოს წარვუდგენთ ჩვენი საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ მიერ მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებებისა და გაწეული სამუშოები არის შემდეგი:

- 2023 წლის იანვრის თვის დასაწყისში ქუთაისში გაიმართა საშობაო ღონისძიება - ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლის კონცერტი ღია ცის ქვეშ, გრანდიოზული შოუ პროგრამით. კონცერტის პარალელურად მოეწყო საახალწლო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა კერძო სექტორმა.
- DMO იმერეთის მხარდაჭერით და „იმერული ღვინის ასოციაციის“ ორგანიზებით 2023 წლის 8-9 მარტს ნიუ იორკში გამართულ ღვინის გამოფენაზე - „Vinexpo Amerika“ პირველად მოხდა იმერული ღვინოების წარდგენა. იმერული ღვინოების საუკეთესო ნიმუშებს გაეცნენ საერთაშორისო ექსპერტები, დეგუსტატორები, ღვინის ბაიერები, ღვინის მწერლები, რომლებსაც ეკუთვნით გადამწყვეტი სიტყვა ამ სფეროში.
- DMO იმერეთის ორგანიზებით იმერელი მეღვინეები და მემარნეები მონაწილეობდნენ სასწავლო პროგრამაში - „ღვინის ტურიზმის პრაქტიკული კურსი“. კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ვაზის ენდემური ჯიშები, ღვინის მოწოდების სერვისი, მარნის ტიპები, ბრენდირება.
- DMO იმერეთს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ჟურნალ „Homeland of Wine” -თან, რომლის თანახმად ჟურნალის ყოველ ახალ ნომერში იბეჭდება სტატია იმერული ღვინის, იმერელი მეღვინეების, იმერელი მარნების შესახებ. 2023 წლის პირველი ნომერი თითქმის მთლიანად იმერულ ღვინოს მიეძღვნა.
- DMO იმერეთსა და „კურორტ საირმეს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. კურორტი საირმე არის პირველი, მსხვილი კერძო სუბიექტი, რომელიც ფულადი კონტრიბუციით შეუერთდა დანიშნულების მართვის ორგანიზაციას.
- DMO იმერეთის და „საირმის ტურიზმის და გასტრონომიის აკადემიის“ თანამშრომლობით შედგა ახალი კულინარიული პროექტი - შეფ-მზარეულების გადამზადების ინტენსიური კურსი. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 15 შეფი იმერეთის რეგიონიდან. კურსის ძრითადი მიმართულება იყო იტალიური სამზარეულო - თეორია და პრაქტიკა. პროექტს ხელმძღვანელობდა შეფ-მზარეული გურამ ბაღდოშვილი. წამყვანი შეფები იყვნენ მიშელინის ვარსკვლავის მფლობელი იტალიელი შეფ მზარეული მატეო სივერო, იტალიელი ტოპ შეფი, აკადემია Cuochi

Romanoli-ის პრეზიდენტი ჯოვანი ტუჩი და „ახალი საირმის“ შეფი კახა ციკოლია. პროექტი განხორციელდა თანადაფინანსების პრინციპით.

- DMO იმერეთისა და USAID-ის ეკონიმიკური უსაფრთხოების პროგრამასთან თანამშრომლობით შეიქმნა ახალი ტურისტული პაკეტები და სამოგზაურო მარშრუტები. ბეჭდური ვერსიის გარდა ტურისტული მარშრუტების ნახვა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში. (იხ.ბმული https://itineraries.kutaisi.travel/).
- ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ“ ხელშეკრულება გააფორმა დაჯავშნის უმსხვილეს ამერიკულ კომპანიასთან - Airbnb. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებულია 2023 წლის განმავლობაში წარმოადგინოს იმერეთის რეგიონთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული სტატისტიკურ მონაცემები.
- 2023 წელს დაიბეჭდა იმერეთის რეგიონის განახლებული რუკები საინფორმაციო ცენტრებისთვის და სამოგზაურო მარშრუტები. ამჟამად, მიმდინარეობს ქუთაისის ტერიტორიაზე 12 სარეკლამო ლაითბოქსის განახლება. აღნიშნულ ლაითბოქსებში იმერეთის 12 მუნიციპალიტეტის სარეკლამო ბანერები განთავსდება.
- იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციამ უმასპინძლა ბრიტანელ ჟურნალისტს სარა ფრიმენს. სარა ფრიმენმა მოამზადა სტატია Wizz Air-ის ბორტის ჟურნალისთვის, სტატია შეეხება თეთრა მღვიმეს და მის სამკურნალო თვისებებს.
- ორგანიზაცია GCC-MALTA-ს შუამდგომლობით, მიწვევითა და ორგანიზებით DMO იმერეთის დელეგაცია ქართველი ჟურნალისტების ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა კუნძულ მალტაზე, სადაც DMO იმერეთის მიერ მოეწყო პრეზენტაცია იმერეთის ტურიზმის შესახებ.
- წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოფენა იყო ITB Berlin 2023. DMO იმერეთმა 2022 წლიდან დაიწყო სარეკლამო კამპანია გამოფენაზე იმერეთის ეფექტური პოზიციონირებისათვის. DMO იმერეთის დაკვეთით გამოფენის ოფიციალურ ციფრულ პლატფორმაზე გამოქვეყნდა სტატიები, როგორც ქუთაისის ისტორიისა და ტურისტული პროდუქტების შესახებ, ასევე იმერული სამზარეულოს, სტუმართმასპინძლობისა და ახალი ტურისტული მარშრუტების შესახებ. განთავსდა პროექტ „იმერული გემოს“ ფარგლებში გადაღებული ვიდეორგოლები.

- **2023 წელს DMO იმერეთმა მონაწილეობა მიიღო 7 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში:**
    - იანვარი, მადრიდი- ესპანეთი FITUR 2023
    - იანვარი, ჰელსინკი - ფინეთი MATKA 2023
    - თებერვალი, რიგა-ლატვია BALTTOUR 2023
    - თებერვალი, მილანი- იტალია BIT MILANO 2023
    - თებერვალი, თელ ავივი-ისრაელი ITMT 202

- მარტი, ბერლინი-გერმანია ITB BERLINI 2023
- მაისი, დუბაი-არაბთა გაერთიანებული საემიროები ATM DUBAI 2023

გამოფენების შერჩევისას გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები:

. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის პირდაპირი ფრენები;

. ქუთაისისა და აეროპორტის საინფორმაციო ცენტრების მიერ წარმოებული სტატისტიკა;

. ახალი ბაზრების დივერსიფიკაცია და რეგიონის ცნობადობის ამაღლება იმ ბაზრებზე, რომლებისთვისაც იმერეთის ტურისტული პოტენციალი ჯერ კიდევ უცნობია.

- DMO იმერეთმა შიდა ბაზარზე იმერული ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის და ცნობადობის ამაღლების მიზნით მონაწილეობა მიიღო ბათუმში ტურიზმისა და სასტუმროს აღჭურვილობის მე-14 საერთაშორისო გამოფენაში - EBIT 2023.
- ქუთაისში 15 აპრილს სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ე.წ ას საფეხურიან კიბეზე მოეწყო პერფომანსი „იპოვე შენი გული", ასევე საფეხური მოირთო წითელი ფერის გულის ფორმის ბუშტებით, ღონისძიების სტუმრებს ართობდნენ პანტომიმის თეატრის მსახიობები.
- აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით ქუთაისის ტურიზმის ცენტრთან დაიდგა სააღდგომო დეკორაცია და მოეწყო ფოტოზონა.
- 2 მაისის დღესასწაული - DMO იმერეთის დაკვეთით დამზადდა ვიდეორგოლი ქუთაისზე.
- 2 მაისი დღესასწაული - DMO იმერეთმა ორგანიზება გაუწია ხელნაკეთებისა და ტრადიციული რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-ბაზრობას.
- ,,გემო ფესტი" - საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გასტრონომიული ფესტივალი 2023 წლის 17/18 ივნისს ჩატარდა იმერეთში. DMO იმერეთი აღნიშნულ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო, როგორც პარტნიორი უწყება და ფინანსური კონტრიბუტორი.
- „ქართული შოუ" - ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლთან თანამშრომლობის შედეგად, ფოლკლორის სასახლეში, ყოველ პარასკევს, საღამოს 6 საათზე ტურისტებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იმართება შემცირებული, საჩვენებელი პროგრამა, რომელიც ტურისტების დიდ დაინტერესებას იმსახურებს. ინფორმაცია კონცერტის შესახებ ვრცელდება სოციალური ქსელის მეშვეობით (https://www.facebook.com/KutaisiTravel), ხოლო ბილეთების შეძენა შესაძლებელია ქუთაისის ტურიზმის ცენტრში.
- დაინერგა ყოველკვირეული ხელნაკეთისა და ხალხური რეწვის იმერელი ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-ბაზრობა - Kutaisi Craft Fest. ხელნაკეთი ნივთების ოსტატები მთელი იმერეთიდან იღებენ მონაწილეობას აღნიშნულ ღონისძიებაში. ინფორმაციის

გავრცელება ხდება Facebook გვერდის (https://www.facebook.com/KutaisiTravel) საშუალებით.

- 24 ივლისს, იმერული ღვინის ასოციაციისა და DMO-იმერეთის ჩართულობით, ქალაქ რომში ჩატარდა იმერული ღვინის დეგუსტაცია, რომელსაც უძღვებოდა ცნობილი სომელიე და ღვინის საერთაშორისო ექსპერტი კარმელო ზოსიმო სგანდურა, ასოციაციის მეგობართან, ქართული კულტურის პრომოუტერთან რომსა და იტალიაში - ნენო გაბელიასთან ერთად. დეგუსტაციას ესწრებოდნენ, იტალიელი ღვინის ექსპერტები და მეღვინეები, რომლებიც გაეცნენ იმერეთს, როგორც მევენახეობა მეღვინეობის რეგიონს, დააგემოვნეს სხვადასხვა დასახელების როგორც ჭურის, ასევე კლასიკური წესით დაყენებული იმერული ღვინოები.
- DMO იმერეთის ინიციატივით მორიგი ტრენინგი გაიმართა იმერელი გიდებისთვის, რომელსაც ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის „ლიტერატურული თეატრის" ხელმძღვანელი, მწერალი იზა ვეფხვაძე უძღვებოდა. ტრენინგზე სპიკერმა მიმოიხილა ხარაგაულის კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა, მოახდინა თითოეული სოფლისა და ღირსშესანიშნაობის დეტალურად აღწერა.

ეს არის ძირითადად რისი თქმაც გვინდოდა მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით, რაც შეეხება სარეკომენდაციო პაკეტებს, ჩვენ წელსაც აუცილებლად წარმოგიდგენთ ჩვენს ინიციატივებს, თუმცა არის პროექტები, რომლებიც კვლავ რჩება მტკივნეულ საკითხებად, ეს არის პირველ რიგში, ტრანსპორტის პრობლემა ქუთაისსა და აეროპორტს შორის. მე მინდა, რომ დაგვიჭიროთ ამ პრობლემის მოგვარებაში მხარი, რადგან ეს დიდ პრობლემას უქმნის ქალაქში ჩამოსულ ტურისტებს. ამასთან ძალიან მნიშვნელოვანია ის გზა, რომელიც აკავშირებს ქუთაისსა და აეროპორტს. ჩვენ წინა წელს რეკომენდაციებშიც მივუთითეთ და ვთქვით, რომ ეს გზა უნდა იყოს სავიზიტო ბარათი ჩვენი ქალაქის, რაც სამწუხაროდ, ესე არ არის, რაც დიდ დისკომფორტს გვიქმნის ჩვენც და ტურიზმის სფეროში მოქმედ ყველა ადამიანს.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი დიმიტრი მხეიძე: - „ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, ძალიან დიდი საქმე გაქვთ გაკეთებული, დიდი შრომა გაქვთ ჩადებული. მთლიან გუნდს ხელმძღვანელების მეთაურობით გიხდით დიდ მადლობას, სწორი მიგნებები გაქვთ და სწორი ინტერვენციები, სადაც ნამდვილად საჭირო იყო იქ. ქუთაისი უნდა იყოს ჰაბი, რომელსაც აქვს უნიკალური მდებარეობა და რესურსი, მთაც, მდინარეც. მქონდა 2016 წელს საუბარი ქუთაისის ფუნქციაზე, მაშინ წამოიწია საკითხი ჩვენი ქალაქი ყოფილიყო ტურისტული ჰაბი, ერთი საკითხი, რაზეც ვსაუბრობდით იყო ის, რომ საქართველოში ჩამოსულმა ტურისტმა ერთი დღე უნდა გაატაროს ქუთაისში. ერთი დღე თუ მან გაატარა ქუთაისში, ის ერთი დღე უნდა იყოს ძალიან დასამახსოვრებელი მისთვის. რაღაც უნდა გავაკეთოთ, მოვიფიქროთ ამისათვის."

ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" დირექტორი, ქალბატონმი მარინე ხაჭაპურიძე: - „ნამდვილად არ გვაქვს იმის ამბიცია, რომ უკვე ავაყვავეთ

რეგიონი, ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია, მაგრამ ჩვენ გვინდა რომ ვიყოთ თანმიმდევრულები, სწორად განვითარდეს და არა ქაოტურად რეგიონი."

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი ბაქარ მახარაძე: - „შევუერთდები სამადლობელ სიტყვას, დიდი მადლობა თქვენ გაწეული შრომისათვის. ამასთან ერთად მინდა გავაჟღერო სასიხარულო ინფორმაცია, რომ ისევ დაიძრა საკითხი ჯაჭვის ხიდიდან წითელ ხიდამდე პროექტის შესახებ, გამოცხადებულია ტენდერი და სადღაც 200 მილიონზეა საუბარი, ასე რომ ბევრი სამუშაო გვექნება კიდევ წინ."

საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარე , ქალბატონი თეა ჯუღელი: - „დიახ, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება და ამ მხრივ, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია და ამიტომაც მნიშვნელოვანი იქნება კადრის დამატება."

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი ბაქარ მახარაძე: - „რამოდენიმე სიტყვას დავამატებ, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და გეგმა მუშავდება, ძალიან დიდი როლი და ფუნქცია ექნება ამ კომისიას. პირველი შემთხვევაა, როდესაც ამ კომისიიდან დაიწყება მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომ გაგრძელდება ალბათ სხვა კომისიებზეც. ასეთი დადებითი ცვლილებები ხორციელდება კომისიის ფუნქციების, როლის შესასრულებლად, შესაბამისად, მეტი ადამიანის ჩართულობასაც საჭიროებს კომისიის საქმიანობაში, რის საფუძველზეც მოწვეული სპეციალისტი ემატება კომისიას."

ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" დირექტორი, ქალბატონი მარინე ხაჭაპურიძე: - „ჩვენი კიდევ ერთი წლევანდელი მიღწევა, როგორც იცით, DMO ნიშნავს კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობას ანუ დასავლურ პრაქტკაში ბიუჯეტს ჰქმნის კერძო სექტორი საჯარო სექტორთან ერთად, საწყის ეტაპზე როცა DMO ყალიბდებოდა შევხვდით კერძო სექტორს, თუმცა ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად ამ სიახლის მისაღებად და ფულადი კონსტრიბუციის განსახორციელებლად. ეს ორგანიზაცია იდეაში მოიაზრებს, რომ წლების გასვლასთან ერთად ბიუროკრატიის და საჯარო ნაწილი ჩამოშორდეს მას. ამიტომ სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ წელს იმერეთის DMO-ს წევრი გახდა ისეთი მსხვილი კურორტი, როგორიცაა საირმე და ბატონი ბადრი კაკაბაძე თავისი სასტუმროებითა და კვების ობიექტებით, ფულადი კონტრიბუციით, რაც ნიშნავს იმას, რომ სანდოობა ჩვენი ორგანიზაციის მიმართ გაიზარდა, მათთვის პრიორიტეტულია ჩვენთან ასოცირება და ჩვენი ორგანიზაციის წევრობა, მათ ექნებათ შეღავათები იგივე საერთაშორისო გამოფენების ფარგლებში და ა.შ."

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრი, ქალბატონი მანანა ჩიხლაძე: - „არ დავიღლები კომპლიმენტებით, დიდი მადლობა თქვენ. ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლბის კუთხით როგორ ვითარდება ორგანიზაცია, ერთ-ერთი მნიშნელოვანი ფაქტორია სანდოობა ტურისტულ კომპანიებთან მიმართებაში. როგორ თანამშრომლობთ?"

ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ დირექტორი, ქალბატონი მარინე ხაჭაპურიძე: - „ჩვენ პერმანენტულად ვხვდებით ერთმანეთს, ბიუჯეტის ფორმირების დროს ჩვენ აუცილებლად ვატარებთ შეხვედრებს, სარეკომენდაციო პაკეტების შექმნის დროს ვხვდებით და ვაოქმებთ მათ მიერ გაჟღერებულ წინადადებებს, სატრენინგო მოდულებს მათი რეკომენდაციებისა და სურვილების შესაბამისად ვადგენთ, თუ რა კონკრეტულ დარგში სჭირდებათ გადამზადება და დახმარება, ინფორმაციის გაცვლა ხშირად ხდება, თუკი რაიმე ახალი ობიექტი შეემატება რეგიონს ამის შესახებ ვაწოდებთ ინფორმაციას და მათი სერვისების შესახებაც ხდება ინფორმაციის მიმოცვლა. მჭიდრო კომუნიკაციაში ვართ მათთან.“

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრი, ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე: - „დიდი მადლობა, ბევრი საინტერესო ინფორმაცია მივიღე თქვენგან. ერთი რამ მინდა გკითხოთ, ბიუჯეტთან დაკავშირებით, 1 200 000-დან მხოლოდ 180 000 არის იმერეთის 11 მუნიციპალიტეტის კონტრიბუცია, ძალიან ცოტა მომეჩვენა და ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?“

ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ დირექტორი, ქალბატონი მარინე ხაჭაპურიძე: - „არსებობს ზეპირი დათქმა, რომ ამ ბიუჯეტიდან 60 პროცენტი რჩება ქუთაისში, იგივე გამოფენებზე ვპოზიციონირებთ ქუთაისის სახელით, თუმცა ვთქვათ თუ დევს ქუთაისის ბროშურა, იქვე დევს იმერეთის ბროშურა, რაღაც გამიჯვნა ამ ხარჯების ასეთ შემთხვევაში რთულია.“

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი პაატა ლილუაშვილი: - „თავდაპირველად როცა DMO იმერეთი იქმნებოდა ეს იყო ტურიზმის ადმინისტრაციის რეკომენდაცია, რომ შექმნილიყო ასეთი სახით, მაშინ ვთქვით რომ უმნიშვნელო წილი შემოიტანათ მუნიციპალიტეტებს ქუთაისის ბიუჯეტში, მაგალითად რა ბიუჯეტიც აქვს წყალტუბოს იმის 0.1 პროცენტს იხდის.“

საკრებულოს დეპუტატი გრიგოლ შუშანია: - „დიდი მადლობა ინფორმაციისათვის. მე მაინც მგონია, რომ ქუთაისის მთავარი პრობლემა არის ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და ზოგადად, მე ვერ ვგრძნობ ქალაქი თვითმმართველობა ორიენტირებულია ტურისტებზე. ერთი საკითხი, ტურისტი ჩვენთან მაქსიმუმ 2-3 დღით ჩამოდის, უკან არ ბრუნდება ან მეორედ აღარ ჩამოდის, და პრობლემაა ის, რომ არ ვფიქრობთ მომავალ წელს რა სიახლე შეიძლება შევთავაზოთ მათ. გემო ფესტის ტიპის ფესტივალები უნდა იყოს ძალიან ხშირად, რომ ტურისტები მოვიზიდოთ შესაბამისი შოუებით, ჩვენ იმდენ ფულს ვხარჯავთ კულტურაში, შიდა ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტი შეიძლება იყოს და შეგვიძლია ეს ფესტივალის ფარგლებში მოვაქციოთ. თუ წინასწარ გვეცოდინება რა პერიოდში რა ფესტივალს ვგეგმავთ, შესაბამისად, ჩამოვლენ ტურისტებიც. ჩვენი მთავარი სეგმენტი არის ტურიზმი. თვითმმართველობამ შესაბამისი ინფრასტრუქტურა უნდა შექმნას.“

ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ დირექტორი, ქალბატონი მარინე ხაჭაპურიძე: - „თუმცა ჩვენ შეგვიძლია გირჩიოთ, მაგალითად, წინა წლის პაკეტში იყიო ჯორჯ ბალანჩინის ძეგლის და სკვერის გაკეთება, იმიტომ რომ ძირითადად ტურისტებს ეს ქართული სახელები და გვარები არაფერს არ ეუბნება და ასეთი ტიპის ბრენდებთან ჩვენი ქალაქის დაკავშირება, ბევრს ნიშნავს, ამერიკიდან ჩამოსული

ტურისტისთვის ჯორჯ ბალანჩინი ცნობილია და უფრო დიდი ინტერესით მოეკიდება ამ ქალაქს. ამიტომაც თქვენი მხარდაჭერა და ჩვენი ინიციატივების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია, მეტი ჩართულობა, მსჯელობა და ურთიერთთანამშრომლობა ძალიან საჭიროა ამ ქალაქისათვის."

საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი: - „დიდი მადლობა, ბევრი რამე არ გვცოდნია და კიდევ ბევრის გაკეთება შეგვიძლია. ჩვენ რომ დავიწყეთ კომისიის სხდომებზე მერიის სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების მოსმენა ამის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ ის, რომ ბიუჯეტის ფორმირების დრო ახლოვდება ჩვენ კი გვჭირდება გარკვეული პერიოდი რეკომენდაციების შესამუშავებლად, აუცილებელია გავითვალისწინოთ თქვენ რა საჭიროებები გაგაჩნიათ, ამისათვის ვისმენთ ანგარიშებს და ავსახავთ შემდგომ რეკომენდაციებში.

ჩვენ რაღაც გამოსავალი უნდა მოვძებნოთ, შესაძლებელია ცენტრალურ ხელისფლებას ვთხოვოთ მაგალითად იმსჯელოს, თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმატზე, ეს არის ის მექანიზმი, რომელსაც შეუძლია ამ ეტაპზე ბიზნესი წელში გამართოს. ვფიქრობეს იქნება ძალიან მომგებიანი ქალაქისთვის, სხვა გამოსავალს მე ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. ამ საკითხზე აქამდე ინფორმაცია არ მქონდა ვიტოვებ უფლებას ერთად გავაგრძელოთ მუშაობა აღნიშნულ საკითხზე.

კონკრეტულად ქუთაისი არის ადგილი, სადაც ბევრი ებრაელის საფლავია. ამ სასაფლაოს მოწესრიგებაც როგორმე უნდა მოხდეს და გავითვალისწინოთ პრიორიტეტებში, რაღაც პროექტი უნდა შედგეს, მე ვფიქრობ, რომ ებრაული მხარეც ჩაერთვება ამ საქმეში აქტიურად.

ასევე, მხედველობასია მისაღები ახალგაზრდების დასაქმების საკითხი, მე მგონია, რომ შეიძლება უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, რომელთაც აქვთ ტურიზმის სპეციალობები. მათი მთავარი პრობლემა არის პრაქტიკული კომპონენტი, კერძო სექტორთან შეიძლება თანამშრომლობა, ამ უცხოელ სტუდენტებს მივცეთ შესაძლებლობა ესტუმრონ ქუთაისს, თითო ფოტოც რომ გადაიღონ ქუთაისში, ცნობადობა გაიზრდება. ასი ათასობით უცხოეული სტუდენტია საქართველოში სტუდენტია და ეს რაოდენობა მით უფრო გაიზარდა უკრაინის ომის შემდეგ. აი, ამ ასაკობრივ ჯგუფზეც უნდა ვიფიქროთ ჩვენ, მით უმეტეს რომ რეალური და ძალიან მწვავე პრობლემაა ახალგაზრდების დასაქმება.

პოლიგრაფიულ მასალასთან დაკავშირებით მინდა დიდი მადლობა გითხრათ და ვთქვა, რომ როდესაც უნივერსიტეტები , პროფესიული სასწავლებლები ატარებენ სამეცნიერო და მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებს, ამ დროს უნდა ჰქონდეთ თქვენთან კავშირი. მე, მაგალითად დამიკავშირდა ერთი პროფესორი, რომელიც კონფერენციის ფარგლებში ესტუმრა ქუთაისს და მთხოვა ქუთაისის ქუჩების დაბეჭდილი რუკა, რომელიც თქვენგან მივიღე, ძალიან კმაყოფილი დარჩა, ყველაფერს მივაგენი ამ რუკის დამსახურებითო. ამ ქალბატონის წყალობით დანარჩენმა პროფესორებმაც გაიგეს ქუთაისის შესახებ, სად რა ობიექტები გვაქვს, სად როგორ მივიდეს და საერთოდ რომ ასეთი რუკა გვაქვს.

ასევე, ქვიტირთან დაკავშირებით, ყველა ქუთაისელი აღიარებს რომ აუტანელია ამის ნახვა, ქუთაისის შემოსასვლელში მანქანების სასაფლაოა, რაღაც უნდა მოვიფიქროთ ამის მოსაგვარებლად."

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი დიმიტრი მხეიძე: - „იყო ამაზე ადრე საუბარი, უნდა გადატანილიყო ყველა ეს მანქანა ელიავას ბაზრობაზე, მერე შეჩერდა და ახლა ვფიქრობ შეიძლება ამ თემაზე მსჯელობის განახლება."

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე თეა ჯუღელი: - „ვფიქრობ როცა ბიუჯეტზე დავიწყებთ მუშაობას ამ საკითხებზე უნდა ვიმსჯელოთ, მათ შორის ტრანსპორტის საკითხზე და ა.შ."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიების წევრებმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ იქნეს ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" საქმიანობის ანგარიში;

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის და იურიდიულ საკითხთა კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს კულტურის, განათლების,
ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის
კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი